საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/15 **29/07/2022**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოს

რეცენზია

მაიმუნის ყვავილი დღესდღეობით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმოს) ანგარიშის მიხედვით 2022 წლის 25 ივლისის მდგომარეობით მსოფლიოს 75 ქვეყანაში აღრიცხულია მაიმუნის ყვავილის 16 000-ზე მეტი დადასტურებული და სიკვდილის 5 შემთხვევა.

პროფესორ თენგიზ ცერცვაძის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინების) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოში განსახილველად წარდგენილია ***„მაიმუნის ყვავილის კლინიკური მართვა“ კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი).***

მოცემული გაიდლაინის მიზანს წარმოადგენს კლინიცისტებისთვის მაიმუნის ყვავილის მქონე პაციენტებისთვის დროული, ეფექტიანი და უსაფრთხო კლინიკური მენეჯმენტის რეკომენდაციების მიწოდება. გაიდლაინი ეყრდნობა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, აშშ დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრების, ევროპის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის, სამედიცინო პლატფორმა UpToDate-ის და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, მაიმუნის ყვავილის კლინიკური მართვის საკითხებზე, ასევე, რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს და ა.შ.

გაიდლაინი განიხილავს მაიმუნის ყვავილის კლინიკურ გამოვლინებებს, დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და მოვლასთან დაკავშირებულ საკითხებს. იგი განკუთვნილია ინფექციონისტებისთვის, ოჯახის ექიმებისთვის, შინაგანი მედიცინის სპეციალისტებისთვის, რეანიმატოლოგებისთვის, პედიატრებისთვის, პირველადი ჯანდაცვის რგოლში დასაქმებული სპეციალისტებისთვის და სხვ. და დიდ დახმარებას

გაუწევს აღნიშნულ სპეციალისტებს მაიმუნის ყვავილით საეჭვო/დადასტურებული პაციენტების დროულად დიაგნოსტირებასა და მკურნალობაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდაციას ვუწევ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინების) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოზე პროფესორ თენგიზ ცერცვაძის მიერ წარმოდგენილ, კლინიკური პრაქტიკის ეროვნულ რეკომენდაციას (გაიდლაინს) - „მაიმუნის ყვავილის კლინიკური მართვა“.

პატივისცემით,



ირინე ქაროსანიძე

ა(ა)იპ “საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის” პრეზიდენტი